ქართულ - ოსური კონფლიქტის სათავეებთან: განსხვავებული პერსპექტივები

"სწორედ ესაა ისტორიის მთავარი პრობლემა - სუბიექტური ინტერპრეტაცია ობიექტურის წინააღმდეგ; ფაქტი, რომ ჩვენ გვჭირდება მეისტორიეს ისტორიის ცოდნაც, რათა გავიაზროთ მოვლენების ის ვერსია, რომელსაც წარმოგვიდგენს"

- *ჯულიან ბარნსი*

ისტორიოგრაფიის სუბიექტურობა არსად ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც კონფლიქტებზე საუბრისას. ფაქტია, ნებისმიერ კონფლიქტს თან სდევს დაპირისპირებულ მხარეთა განსხვავებული შეხედულებები. მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ მხარეების არასწორი/სუბიექტური აღქმებია ერთმანეთის მოტივების, ქცევებისა და მიზნების შესახებ. თუმცა, ისტორიის სუბიექტური ინტერპრეტაციის უმთავრესი პრობლემაც სწორედ ისაა, რომ არც ერთ მხარეს არ სურს საკუთარ ნარატივში ეჭვის შეტანა ("ჩვენ" ყოველთვის სიმართლეს ვამბობთ, როცა "მათი" ისტორიის წიგნები ტყუილებითაა სავსე). სამწუხაროდ, ამის მაგალითები ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაშიც მრავლადაა.

სიმბოლურია, რომ ამ თემას აგვისტოს თვეში, 2008 წლის ომიდან მეცამტე წლისთავზე ვეხები. ესაა ომი, რომელსაც ჩემი თაობა მოესწრო, თუმცა მისი ფესვები წინა თაობის, წინა საუკუნის მოვლენებში უნდა ვეძებოთ. ქართულ-ოსური კონფლიქტის გენეზისის შესწავლა და ანალიზი სასიცოცხლოდ აუცილებელია, თუ გვსურს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ამ პრობლემის მოგვარების გზაზე. მიმაჩნია, რომ ამ თემის განხილვა კონფლიქტში ჩართული მხარეების განსხვავებული პერსპექტივების შესწავლით უნდა დავიწყოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩავიხედოთ მეორე მხარის "ისტორიის წიგნებში", შევადაროთ სიმართლის ჩვენეულ ვერსიას და გამოვნახოთ ადგილი დისკუსიისა და დიალოგისთვის. სწორედ ამ მიზნით, ვეცდები ქრონოლოგიურად გავყვე ქართულ-ოსური კონფლიქტის დროით წრფივს საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელი წლებიდან უშუალოდ ომის დასაწყისამდე; მიმოვიხილო ამ პერიოდში განვითარებული საკვანძო მოვლენების ქართული თუ ოსური შეფასებები და გამოვკვეთო მათ შორის არსებული განსხვავებები; ასევე ვაჩვენო, თუ როგორ შეცვალა მოვლენების განვითარების ჯაჭვი მხოლოდ საკუთარ, სუბიექტურ პერსპექტივაზე ორიენტირებულმა მიდგომამ. ამისთვის კი გამოვიყენებ როგორც ოფიციალური უწყებების დადგენილებებს, ისე საგაზეთო სტატიებს თუ რიგითი ადამიანების ინტერვიუებსა და მოგონებებს.

იმ პერიოდის საბჭოთა კავშირისთვის, რომელიც არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა, "პერესტროიკა" და "გლასნოსტი" ერთგვარი გადარჩენის გზა უნდა ყოფილიყო. ამ კონცეფციებს ის აუცილებელი ცვლილებები უნდა მოეტანათ, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ სახელმწიფოს ასე ესაჭიროებოდა. თუმცა, ხალხისთვის მინიჭებულმა თავისუფლების მცირე დოზებმა მალე ის

მოულოდნელი “ანომალიაც” წარმოშვა, რასაც ჯერ „არაფორმალები“, შემდეგ კი ეროვნული მოძრაობა უწოდეს.
ფორმალურად, ეს პროცესი საქართველოში 1987 წლის 31 ოქტომბერს დაიწყო, როცა შეიქმნა პირველი არაფორმალური პოლიტიკური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. „ეს იყო არარეგისტრირებული, მაგრამ ლეგალური საზოგადოება მკვეთრად გამოხატული საზოგადოებრივ - პოლიტიკური აქცენტებით“ (ბლუაშვილი, 2012). სწორედ მათი ინიციატივით გაიმართა პირველი ფართომასშტაბიანი მიტინგი თბილისში, 1988 წლის 5 ნოემბერს. მიტინგების სერია 29 ნოემბრამდე გაგრძელდა და ათეულობით ათასი ადამიანი გამოიყვანა პარლამენტის წინ. ისინი მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ცვლილება არ შეხებოდა საქართველოს სსრ-ს უფლებას, თავისუფლად გამოსულიყო სსრ კავშირიდან. ეს მოთხოვნა შესრულდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ამ ნოემბრის მოვლენებმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას. ნელ-ნელა, სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა რადიკალური მოთხოვნები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.
ამის პარალელურად, და შესაძლოა საპასუხადაც, გააქტიურდა სახალხო მოძრაობები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც. მათგან ყველაზე გამორჩეული გახლდათ არაფორმალური გაერთიანება “ადამონ ნიხასი”, რომელიც 1988 წლის ნოემბერში შეიქმნა. გაერთიანებას სათავეში ედგა ალან ჩოჩიევი. სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი საჯარო წერილი, რომელიც ორ მხარეს შორის არსებული დაძაბულობის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი მოვლენა გახდა. 4 აპრილს, გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებულ ამ წერილში ჩოჩიევი “ადამონ ნიხასისა” და “ოსეთის ხალხის” სახელით სრულ მხარდაჭერას უცხადებს ლიხნის შეკრებაზე მიღებულ მიმართვას და “აფხაზი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს ჭეშმარიტი ეროვნული სუვერენიტეტის მიღწევასთან” დაკავშირებით. ვფიქრობ, საინტერესოა უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ ამ წერილში გამოთქმული რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება. წერილის წაკითხვისას აშკარაა, რომ ალან ჩოჩიევი ცდილობს გამოხატოს გარკვეული დაჩაგრულობის შეგრძნება, რასაც, მისი აზრით, აფხაზები და ოსები განიცდიან. ის საუბრობს ქართველი ხალხის მიერ აფხაზთა სამართლიანი მოთხოვნების “იგნორირებისა” და “დამუხრუჭების” შესახებ. ხოლო 1988 წლის ნოემბრის გამოსვლებს აღიქვამს, როგორც ქართველების მხრიდან “კონსტიტუციური პრივილეგიეგიის შექმნისკენ” სწრაფვას. ის რამდენჯერმე უსვამს ხაზს ვერტიკალური, იერარქიული სისტემის არსებობას, რომელიც ქართველებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო აფხაზებსა და ოსებს - დაქვემდებარებულ და “ეროვნული ღირსების შემლახავ” პოზიციაში. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს წერილში გამოყენებული სიტყვა “სტუმრის” მნიშვნელობაც. ეს საკითხი ხშირად წამოჭრილა ქართულ-ოსურ, თუნდაც ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებზე საუბრისას - მაინც ვინაა სტუმარი და ვის მიწაზე? ამ შემთხვევაში, ალან ჩოჩიევი ქართველებს მოიხსენიებს “იმ მრავალრიცხოვან სტუმართაგან” ერთ-ერთად, რომელიც ტანჯული ოსი ერის გატეხვას ცდილობდა (ჩოჩიევი, 1989). თავის მხრივ, საკმაოდ ხშირი იყო საპირისპირო ნარატივი ქართველთა მხრიდან - ოსები (ისევე როგორც აფხაზები) აღქმულნი იყვნენ “სტუმრებად” და შესაბამისად, “მასპინძლებისთვის” ხმამაღალი მოთხოვნების წაყენების უფლება არ ჰქონდათ.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ადგილი ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ტრაგედიას - 1989 წლის 9 აპრილს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მოვლენებმა ერთიორად გაამძაფრა ქართული საზოგადოების რეაქცია ალან ჩოჩიევის წერილზე. გამოქვეყნდა მრავალი საპასუხო წერილი თუ მიმართვა. მაგალითად, ჩოჩიევის წერილს ქართველი მეცნიერები გ. ჯალაბაძე და მ. ქანთარია პასუხობენ. წერილის პათოსს კარგად გამოხატავს შემდეგი ციტატა: "ჩოჩიევმა ქართველი ხალხის "ვალის გადახდა," როგორც ეტყობა იმით გადაწყვიტა, რომ მხარში ამოუდგა თავის აფხაზ მეგობრებს და მოინდომა ის ტოტი მოეჭრა, რომელზედაც თვითონ ზის" (ჯალაბაძე & ქანთარია, 1989). ამ წერილში იგრძნობა ერთგვარი წყენა "უმადურობის" გამო, რასაც, ვფიქრობ, კვლავ "სტუმარ-მასპინძლის" ნარატივთან მივყავართ. უფრო საინტერესოა ჩოჩიევის წერილზე მისი ოსი თანამემამულის, ალექსანდრე ქუძიევის პასუხი. ის არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსები ქართველთაგან ჩაგრულნი არიან: "არ ძალმიძს შევიწროების არც ერთი ფაქტის გახსენება". ის "უბრალო გეოგრაფიულ ჭეშმარიტებას" უწოდებს ფაქტს, რომ ოსების საცხოვრებელი ტერიტორია საქართველოს მიწა-წყალია. თუმცა, წერილის ბოლოს ხაზს უსვამს: "მცდარად და მიუღებლად ვთვლი ოსი ხალხის, როგორც „სტუმრის" კონცეფციას საქართველოს მიწაზე. ჩვენ ერთად საუკუნეები გვიცხოვრია და ჩვენს წინაპრებს არასდროს დაუსვამთ საკითხი ასეთნაირად" (ქუძიევი, 1989). ეს საპასუხო წერილი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩოჩიევი და "ადამონ ნიხასი" სულაც არ საუბრობდა სრულიად "ოსეთის ხალხის" სახელით. თუმცა, აშკარაა, რომ "სტუმრის" ნარატივი ცალსახად მიუღებელი გახლდათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უმცირესობისთვის. ეს გასაგებიცაა - მსგავსი დამოკიდებულება აჩენს ერთგვარ იერარქიულ განლაგებას, სადაც "ქართველების მიწაზე" მცხოვრები ნებისმიერი არაქართველი აქ მხოლოდ "სტუმრის" სტატუსითა და ქართველთა "კეთილი ნების ხარჯზე" ცხოვრობს. ამ დამოკიდებულებამ და "საქართველო ქართველებისთვის" რიტორიკამ განსაკუთრებით იმოქმედა ეთნონაციონალიზმის გაღვივებისა და ეროვნული გაუცხოების პროცესზე.

ქართულ-ოსური დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ კატალიზატორად იქცა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და მისი საკანონმდებლო სტატუსი. 1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა გამოსცა დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იყო ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი. ამ პროგრამით დადგენილ იყო ქართული ენის სავალდებულო სწავლება არაქართულ სკოლებში და ზოგადად მისი გამოყენების დანერგვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. ეს ფაქტი უკიდურესად უარყოფითად აღიქვეს რესპუბლიკის ავტონომიებში. მეტიც, ოსურმა (ისევე როგორც აფხაზურმა) არაფორმალურმა გაერთიანებებმა შემდგომ სწორედ ამ ფაქტზე ააგეს თავიანთი სეპარატისტული რიტორიკა. "ადამონ ნიხასმა" თავისი პირველი მიტინგიც ამ საბაბით გამართა, რასაც მოჰყვა მიტინგების ფართო ტალღა ოქტომბრის თვეში. ამ პერიოდის განსაკუთრებული დაძაბულობა ყოველდღიურ ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში ჩანს. გაზეთ "სამაჩაბლოს" 1989 წლის ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ იმ პერიოდში მომხდარი მოვლენების ქრონიკას: "26 ოქტომბერს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა ოსური და რუსული ფაკულტეტების /ოსური ეროვნების/ სტუდენტთა კრება. ქართველები დაითხოვეს დარბაზიდან. კრებას უძღვებოდნენ ლექტორები; "ადამონ ნიხასის"

აქტიური წევრები … კრებამ მოითხოვა: ჩამოერთვას საქართველოს ისტორიის საათები ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებელს ალ. ურთქმელიძეს, რადგან იგი „სწორად“ არ კითხულობს საქართველოს ისტორიის კურსს; 2. არ გვინდა საქართველოს ისტორიის სწავლა; 3. არ გვინდა ქართული ენის სწავლა…”. “ამ დღეებში ქ. ცხინვალში გავრცელდა მოწოდებები და პროკლამაციები, რომლებიც მოითხოვენ ყველა ქართველის დაპატიმრებას, ვინც მერაბ კოსტავას დაკრძალვაზე იყო და სამგლოვიარო გვირგვინები მოჰქონდა წარწერით “სამაჩაბლოს ქართველებისგან”. “30 ოქტომბრიდან სამაჩაბლოში შეწყვიტეს საქართველოს რადიოს გადაცემები. მის მაგივრად ჩართეს მოსკოვის რადიო” (სამაჩაბლო, 1989). ეს გაზეთი, რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს - “წმინდა ილია მართლის საზოგადოებას” ეკუთვნის, კარგად წარმოაჩენს ისტორიის ერთ მხარეს. ეს ის ფაქტებია, რომლებზეც ოსური მხარე არ საუბრობს. ისევე როგორც, ქვემოთ წარმოგიდგენთ ეთნიკურად ოსების მოგონებებს, რომლებიც ისტორიის მეორე მხარეს აღწერს.

1989 წლის 10 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მის ნაცვლად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ამავე სესიაზე სახელმწიფო ენად ოსური გამოცხადდა, თუმცა აქვე აღინიშნა, რომ უკვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებული იქნებოდა ქართული ენაც. ამის საპასუხოდ, 16 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა ხსენებული გადაწყვეტილებები, მათი კანონთან შეუსაბამობის მიზეზით.

ამ მოვლენებს კი მოჰყვა 23 ნოემბრის აქცია - კიდევ ერთი გადამწყვეტი მომენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყის ეტაპზე, რომელიც სრულიად განსხვავებულად იქნა აღქმული ორივე მხარის მიერ. ამ დღეს, დაახლოებით 15000-მდე ქართველი მშვიდობიანი მიტინგის ჩატარების მიზნით დაიძრა ცხინვალისკენ. მათ სათავეში ედგნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიტინგი თავიდანვე განსაზღვრული იყო, როგორც მშვიდობიანი დემონსტრაცია, ოსებისგან ეს ქმედება აღქმული იქნა, როგორც ქართველთა მხრიდან ძალის დემონსტრირების მცდელობა. მაგალითად, გიგა არველაძე, იმ პერიოდში მხედრიონის წევრი, ინტერვიუში ამ მოვლენებზე საუბრისას ამბობს: “მიტინგზე არაფერი, გაწევ-გამოწევა იყო, მაგრამ საღამოს დაიშალა.” (ბექიშვილი & ლომაძე, 2020). ამ შეფასებისგან სრულიად საპირიპიროა ოსი მოქალაქეების მოგონებები. მაგალითად, თიმურ ცხურბათი პირდაპირ ამბობს: “საქართველო იმ დღეს დამთავრდა ჩემთვის. მაშინ მივხვდი, რომ ამ ქვეყანასთან აღარაფერი აღარ მქონდა საერთო. … ჩვენ ჩვენი გზა უნდა გვეპოვა” (სანაკოევა, 2020a). ხოლო ფატიმა ბიკოევას შეფასებით “23-ის შემდეგ არაფორმალები სულ გამხეცდნენ. ოსების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა … ტელევიზორშიც მხოლოდ პროპაგანდა ისმოდა – ოსებმა ეს გააკეთეს, ოსებმა ის გააკეთეს” (სანაკოევა, 2020b).

1990 წლიდან უკვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი ნომეკლატურაც უერთდება “ადამონ ნიხასის” პოზიციებს. ამ პერიოდიდან, ფაქტობრივად სრული მაშტაბით იწყება “კანონთა ომი” - სენსიტიურ, ღრმა პოლიტიკური და ეთნიკური მნიშვნელობის პრობლემებს უბრალო ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ელფერი ეძლევა, არსად ჩანს პრობლემის სათავის ძიების, მეორე მხარის პოზიციების გაგების მცდელობა. ოსებისგან მომავალ პროტესტზე ქართული მხარის იარაღი მხოლოდ აკრძალვა, გაუქმება, დასჯაა. 1990

წლის 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ". ხოლო 16 ოქტომბერს, ცხინვალში მოწვეულ სესიაზე, კვლავ დაადასტურეს გადაწყვეტილება ხსენებული სუვერენიტეტის შესახებ. ეს ყოველივე, კარგად გადმოგვცემს, თუ როგორ არაადეკვატურად გაუმკლავდა მაშინდელი ხელისუფლება ამ უკიდურესად სენსიტიურ საკითხს. არც კი ყოფილა მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებისა თუ დიალოგის მცდელობა. ოსების პოზიცია, რომლებიც დისკრიმინაციასა და არასამართლიან მოპყობაზე გამოთქვამდნენ პრეტენზიებს, არ შუქდებოდა ქართულ მედიაში. აქცენტი მხოლოდ იმის დამტკიცებაზე იყო, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ნამდვილად საქართველოს ისტორიული საკუთრება გახლდათ. ხელისუფლების, მედიისა თუ საზოგადოების ეს ცალმხრივი, მხოლოდ საკუთარ სათქმელზე ორიენტირებული მიდგომა კიდევ უფრო აჩქარებდა კონფლიქტის ესკალაციას.

ვფიქრობ, მსგავსი განწყობები იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებაში მასიურად იყო გავრცელებული. საბჭოთა კავშირი არსებობის ბოლო წლებს ითვლიდა, ხალხი გრძნობდა მისი მარწუხების მოშვებას და თავისუფლების ჟინით იყო შეპყრობილი. ყველაფერი რადიკალურად, მკვეთრ ფერებში იყო აღქმული და ასეთივე პასუხს იღებდა. არსებობდა ინფორმაციის უკონტროლო ნაკადი - მოარული ჭორები თუ გაზეთში გადმოცემული ცნობები. ეს ინფორმაციები - მართალი თუ ტყუილი - ორივე მხარეს მყისიერ და ხისტ რეაქციებს იწვევდა. საზოგადოება დაბნეული და შეშინებული იყო. თამარ ჩხეიძე, ეროვნული მოძრაობისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აქტიური წევრი ამ ყოველივეს "სქემას" უწოდებს: "სქემა იყო ასეთი: ქართულ სოფლებში ქართულენოვანი პროვოკატორების ხელით დაყრიდნენ ხმებს, რომ ოსები უნდა დაესხან თავს. ოსურ მოსახლეობაში კი გაავრცელებდნენ, თითქოს ქართველები მიდიოდნენ დასარბევად. ისე მიდიოდა ყველაფერი, რომ მალე ფიზიკურ შეტაკებაში გადაზრდილიყო" (ბექიშვილი et al., 2020). სიტუაცია დენთის კასრს ემსგავსებოდა, რომლის ასაფეთქებლად საჭირო ნაპერწკალიც მალევე გამოჩნდა. 1991 წლის 4-5 იანვარს ცხინვალში ქართული მილიციის შეყვანის შემდეგ კონფლიქტმა ფაქტობრივად შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

ზემოთ განხილული ფაქტები მხოლოდ ნაწილია მოვლენების იმ ჯაჭვისა, რომელიც მეოცე საუკუნის დასასრულს ჯერ კიდევ საქართველოს სსრ-ში დაიწყო, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის უკანასკნელ, 2008 წლის ომში გამოიხატა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მცოცავი ოკუპაციის სახით იდგამს ფესვებს ჩვენს ყოველდღიურობაში. ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყისი ეტაპი თუ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომების განხილვა დღესაც არაა საზოგადოებისთვის კომფორტული თემა. თუმცა, მცოცავი ოკუპაციის საფრთხეები ყოველდღიურად უფრო აშკარად ხდის წარსულის შეცდომების კრიტიკული გაანალიზებისა და ახალი მიდგომის შემუშავების აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა* :

1. ბლუაშვილი, უ. (2012). *"ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფერენცია საქართველოში: 1987-1993 წწ."* გამომცემლობა გეორგიკა, თბილისი.
2. ჩოჩიევი, ა. (1989, 5 აპრილი). "ძვირფასო აფხაზო მეგობრებო!" *ლიტერატურული საქართველო.* მოძიებულია: *ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1977-2008).* ბოლო ნახვა: 16.09.2021 https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd
3. ჯალაბაძე, გ. & ქანთარია, მ. (1989). "ჩოჩიევი "ვალს უხდის" ქართველ ხალხს". მოძიებულია: *დამოუკიდებლობის გაკვეთილები.* ბოლო ნახვა: 16.09.2021 https://bit.ly/2XPcger
4. ქუძიევი, ა. (1989). "ღია წერილი ალან ჩოჩიევს". მოძიებულია: მოძიებულია: *დამოუკიდებლობის გაკვეთილები.* ბოლო ნახვა: 16.09.2021 https://bit.ly/3D9CKra
5. სამაჩაბლო (1989). *შიდა ქართლის - სამაჩაბლოს რეგიონალური სახალხო ფრონტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამაჩაბლოს ფილიალის პერიოდული გაზეთი.* N 1, ოქტომბერი, 1989. მოძიებულია: ეროვნული ბიბლიოთეკა. ბოლო ნახვა: 17.09.2021 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/185690/1/Samachablo_1989_N1.pdf
6. სანაკოევა, ზ. (2020a). "ცოცხალი ჯაჭვი - თიმურ ცხურბათი". *მეხსიერების გაცოცხლება/ისტორიები - ინდიგო.* მოძიებულია: 15.09.2021 https://indigo.com.ge/articles/cocxali-jawvi-timur-cxurbati/
7. სანაკოევა, ზ. (2020b). "რაცია - ფატიმა ბიკოევა". *მეხსიერების გაცოცხლება/ისტორიები - ინდიგო.* მოძიებულია: 15.09.2021 https://indigo.com.ge/articles/radio-fatima/
8. ბექიშვილი, ნ. & ლომაძე, ნ. (2020). "სოკოები - გიგა არველაძე". *მეხსიერების გაცოცხლება/ისტორიები - ინდიგო.* მოძიებულია: 15.09.2021 https://indigo.com.ge/articles/sokoebi/
9. ბექიშვილი, ნ., ლომაძე ნ., სუხაშვილი, თ. (2020). "სქემა - თამარ ჩხეიძე". *მეხსიერების გაცოცხლება/ისტორიები - ინდიგო.* მოძიებულია: 15.09.2021 https://indigo.com.ge/articles/sqema/

** - ნაშრომი შეიქმნა ნაციონალიზმისა და კონფლიქტის კვლევის ინსტიტუტის ინიციატივით განხორციელებული პროექტის „ქართულ - ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის" ფარგლებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით*

ავტორი: ნუცა ძანძავა